

### **ტესტის სახელწოდება:**

მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების (HDL) ტესტი

### **ტესტის ალტერნატიული დასახელება:**

მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინის (HDL-C) ტესტი

### **რას იკვლევს მოცემული ტესტი:**

ტესტი ადგენს სისხლში HDL-ის დონეს. HDL ლიპოპროტეინების ჯგუფია, რომელთაც «კარგი ლიპოპროტეინების» სახელითაც მოიხსენიებენ, რადგან ისინი ამცირებენ ათეროსკლეროზისა და გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა განვითარების რისკს.

### **რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება:**

HDL ტესტი ინიშნება გულსისხლძარღვთა დაავადების განვითარების რისკის შესაფასებლად. იგი გამოიყენება როგორც სკრინინგისთვის – პაციენტებში, რომელთაც სხვა რისკ-ფაქტორებიც აქვთ (დაავადების ოჯახური ისტორია, 45 წელზე მეტი ასაკი, სიმსუქნე, თამბაქოს მოხმარება და სხვ.), ასევე მონიტორინგისთვის იმ პაციენტებში, რომელთაც ლიპიდების მაღალი დონის ან გულის იშემიური დაავადების გამო უტარდებათ მკურნალობა.

### **როგორ კეთდება ეს ტესტი:**

ანალიზისთვის სისხლის აღებაა საჭირო. სისხლს იღებენ ვენიდან ან, ზოგჯერ, თითის წვერიდანაც.

### **როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის:**

ანალიზამდე რამდენიმე საათით ადრე პაციენტმა საკვების მიღებისგან თავი უნდა შეიკავოს. მომზადებასთან დაკავშირებული დეტალური მითითებების მისაღებად საჭიროა ექიმთან კონსულტაცია.

### **შედეგების ინტერპრეტაცია:**

ზოგადად, დაბალი HDL ზრდის ათეროსკლეროზისა და გულის შეტევების რისკს, ხოლო მაღალი HDL კი ამცირებს მას. მთლიანი რისკის შეფასებისას HDL ტესტის შედეგებთან ერთად საჭიროა მხედველობაში მივიღოთ სხვა რისკ-ფაქტორებიც. ანალიზის პასუხების სწორად ინტერპრეტირებისათვის აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია.